ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N№21
(გამარტივებული შესყიდვა)

10.04.2017 წელი

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეი ბი სი", მისი დირექტორის ედუარდ აბაიაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები",საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 სსიპ საერთო სასამართლოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ინვენტარის ღირებულების დადგენისათვის აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CVP **79212000**) .

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

7. მიწოდების ვადა და ადგილი

7.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N32 (სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.4. დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი სახსრებით;

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

12. ხელშეკრულებს პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების გამო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.

13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების
დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/ნ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ეი ბი სი კონსალტინგი“
მის: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N91
სს "თიბისი ბანკი" ს/ნ 406136257
კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE27TB7395636080100004

ედუარდ ზბარაძე
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

10.04.17

ჩვენ, ქვემო ხელმომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ სსიპ საერთო სასამართლოების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ინვენტარის ღირებულების დადგენისათვის აუდიტორული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გიორგი კაკაურიძე

ალექსი ლოლიშვილი

მარიანა გამჯაშვილი

მადონა ბერიაშვილი